MES 3 23 0000011795

11/01/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2022 წლის 21 დეკემბერს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი/ საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი/საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ- დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ გიორგობიანი
ნანა ნატროშვილი
თათია გივიშვილი
ირმა ქორთუა
მანანა კობალაძე
მანანა მოისწრაფიშვილი
გიორგი ნაჭყეპია
ქეთევან ღვანიძე

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო
დირექტორი - ნანული ზარიძე;
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თინათინ ჭუმბაძე.

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“
დირექტორი - ნოდარ ხარაზიშვილი;
ხარისხის მართვის მენეჯერი - თამარ გიორგობიანი;
იურისტი - მაია ომიაძე.

შპს “ინტერბიზნესის აკადემია“
დირექტორი - ინგა მანაშერიძე;
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი - ნაზო წიბლიაშვილი;
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები“ ხელმძღვანელი - ალექსანდრე კეკენაძე;
პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ხელმძღვანელი ხათუნა წერეთელი.

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი ნანა ყუფუნია მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ვინაიდან საბჭოს მდივანი, მაგდა ბოლოთაშვილი, არ ესწრებოდა საბჭოს სხდომას, საბჭოს თავმჯდომარის მიერ, სხდომის მდივნად განისაზღვრა ქრისტინა რზგოევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

1. შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ თამარ გიორგობიანს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში „ცენტრი“) დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს (შემადგენლობა: თამარ გიორგობიანი - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნანა ნატროშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი, თათია გივიშვილი - ექსპერტთა ჯგუფის წევრი), დაევალა კოლეჯ მესამე სამედიცინოში (მისამართი: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი No142), 2022 წლის 19, 20 და 21 ოქტომბერს გეგმიური მონიტორინგის განხორციელება.
ჯგუფმა ვიზიტის განხორციელებამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაეცნო დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას, შეაჯერა განსახილველი საკითხები და შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი. ავტორიზაციის ექსპერტთა

ვიზიტი ჩატარდა დღის წესრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულებისა და პარტნიორი კლინიკების წარმომადგენლებს, პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. ექსპერტებმა შეისწავლეს ავტორიზაციის სტანდარტებსა და „საექთნო განათლების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, დაათვალიერეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ბიბლიოთეკა და სხვა. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ვითარებაში.
ექსპერტის განცხადებით, მიმდინარე წლის 22 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით ექსპერტებისთვის მოწოდებული იქნა კოლეჯის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, რასაც ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო დასკვნის შედგენის პროცესში. გარდა ამისა, დაწესებულებამ წარმოადგინა განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ექსპერტების მიერ გაცემულ განმავითარებელ რეკომენდაციებთან მიმართებით, თუმცა, ექსპერტებმა არ გაითვალისწინეს აღნიშნული გარემოება და შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში ავტორიზაციის პირობების შესრულების შესახებ ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შედგა შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების მომენტისთვის მოქმედ რეგულაციებსა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით.

სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება
IV სტანდარტი
4.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.
ინდიკატორი 4.1.1.2 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობს კოლეჯის ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტები იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანობის წარმართვა.
ინდიკატორი 4.1.1.3 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვას და კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად წარდგენას, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი. ექსპერტები იზიარებენ შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლიან, რომ ამ ვადაში შესაძლებელია კოლეჯის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების

შესახებ რეგულაციების კორექტირება და ძირითადი საქმიანობის წარმართვა იმგვარად, რომ კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავდეს ინტერესთა კონფლიქტს.
4.2 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.
ინდიკატორი 4.2.1.1 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, კოლეჯი არ ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის დირექტორის მიერ სამუშაო ჯგუფის/კომისიის შექმნას, კომისიის წევრთა შეხვედრებსა და მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვას, სამუშაოების განხორციელებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების პაკეტის მომზადებასა და განხილვასა და წარდგენას კოლეჯის დირექტორისათვის დასამტკიცებლად, დადგენილ ვადებში პერსონალის შეფასებას და შესაბამისი მტკიცებულებებით უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 30 ნოემბერი.
ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია პერსონალის შეფასების პროცედურების განხორციელება.
V სტანდარტი
5.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც „მეტწილად შესაბამისი“.
ინდიკატორი 5.1.1.4 შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობა არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის სისტემით. თუმცა, 2022 წლის 22 ნოემბერს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის კორესპონდენციით (N1484623, 21.11.22) ექსპერტთა ჯგუფისთვის მოწოდებული იქნა შპს „სერვის გრუპთან“ 2022 წლის 08 ნოემბერს გაფორმებული მიწოდებისა და მომსახურების ხელშეკრულება და ავტორიზაციის სტანდარტებთან კოლეჯის შესაბამისობის გეგმა, რომელიც გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის შეკრებას სამომავლო აქტივობების დასაგეგმად, შენობის მესაკუთრესთან შეხვედრებსა და საკითხის დაყენებას, შენობის დათვალიერებას სპეციალისტების მიერ, პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას, საჭირო მასალების შეძენას, სისტემის დასაყენებელი სამუშაოების ჩატარებას (სასწავლო პროცესის დაწყებამდე და დასრულების შემდგომ საათებში), გათბობის სისტემის დამონტაჟებასა და გამართულად ფუნქციონირების შემოწმებას, სპეციალისტების მიერ დამონტაჟებული ცენტრალური გათბობის სისტემის ჩაბარებას კოლეჯის ადმინისტრაციისა და შენობის მესაკუთრეთა მიერ, ხოლო აღნიშნული აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღად მითითებულია 2022 წლის 02 დეკემბერი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი აქტივობის შესრულებისთვის განსაზღვრულ ვადას და თვლის, რომ ამ ვადაში შესაძლებელია დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული შენობა-ნაგებობის ცენტრალური გათბობის სისტემით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება
III სტანდარტი
ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები, თუმცა, რეკომენდებულია, კოლეჯმა შეიმუშაოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების აღიარების მექანიზმი.
IV სტანდარტი

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია, კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სტრუქტურის დოკუმენტი უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, დაწესებულების სტრუქტურის დოკუმენტში, სახელობითადაა მითითებული შესაბამის პოზიციაზე დასაქმებული პირები, რეკომენდებულია, სტრუქტურაში არსებულ პოზიციებს თან არ ერთვოდეს დასაქმებული პირების სახელი და გვარი.

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა გარდა -შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასსა“ და შპს „ ევექსის ჰოსპიტლებთან“ გაფორმებული ვადიანი ხელშეკრულებებისა, „საექთნო განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს კოლეჯს გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება კლინიკასთან შპს „M მედი 22“, რომელსაც გაუვიდა ხელშეკრულების ვადა, თუმცა, პროგრამის ძირითად დოკუმენტში აღნიშნული კლინიკა კვლავ მითითებულია, რეკომენდებულია, დაწესებულებამ პროგრამის ძირითადი დოკუმენტიდან ამოიღოს მითითებული კლინიკა. აღსანიშნავია, რომ დანარჩენი სამი კლინიკა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, პროფესიული განათლების მასწავლებლებსა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კოლეჯის მიერ ჩატარებულია ტრენინგები სწავლებასა და შეფასებაში, აღნიშნული აქტივობა დოკუმენტებით ვერ დასტურდება, შესაბამისად, რეკომენდებულია, დაწესებულებამ მომავალში უზრუნველყოს მის მიერ ჩატარებული ტრენინგების ამსახველი აქტივობის მტკიცებულებებით გამყარება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების განმარტებით, კონსოლიდირებული ნორმატიული აქტების მიწოდებას სტუდენტებისთვის, მოდულის განმახორციელებელი მასწავლებელი უზრუნველყოფს, რეკომენდებულია, კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმოს საკანონმდებლო მაცნესთან.

ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე სსსმ პირი არ ირიცხება და შემუშავებულია სსსმ პირებისათვის ადაპტირებული სასწავლო რესურსების გამოყენების მექანიზმები, რეკომენდებულია, დაწესებულებამ უფრო დეტალურად გაწეროს აღნიშნული მექანიზმი (მაგ., სპეციალური პროგრამა კითხვისათვის, უსინათლოებისა და მცირე მხედველთათვის და ა.შ.).

რეკომენდაციები ტექნიკურ უზუსტობებთან დაკავშირებით

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი არ მიეკუთვნება აკადემიურ პერსონალს, ხოლო დაწესებულება მარეგულირებელ დოკუმენტებში („შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს „სტრატეგიულიდაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია“) იყენებს ტერმინს „აკადემიური პერსონალი“, რეკომენდებულია,კოლეჯმა გაასწოროს ტერმინოლოგია შიდა სამართლებრივ აქტებში;

იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები აკრედიტაციის პროცესს არ საჭიროებს, რეკომენდებულია, დაწესებულებამ შიდა ნორმატიული აქტებში („საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია“) გაასწოროს ტერმინოლოგიური უზუსტობები;
„კოლეჯის მარეგულირებელი დებულების“ რამდენიმე მუხლში დაწესებულება მოხსენიებულია როგორც „საზოგადოებრივი კოლეჯი“, შესაბამისად, რეკომენდებულია, მარეგულირებელ დოკუმენტებში სწორად აისახოს დაწესებულების სახელწოდება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია.
ნანა ზარიძე მიესალმა დამსწრე პირებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შეფასებისთვის. მან კომენტარი გააკეთა დაწესებულებაში გათბობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კოლეჯში ამჟამად უკვე დამონტაჟებულია და ჩართულია ცენტრალური გათბობა. ნებისმიერ მომენტში შესაძლებელია აღნიშნულის გადამოწმება.
ამის შემდეგ საუბარი განაგრძო კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა თინათინ ჭუმბაძემ და ისაუბრა სტანდარტის მეტწილ შესაბამისობებთან დაკავშირებით, რომლებიც დაფიქსირდა კოლეჯში. მისი თქმით, რეკომენდაციები, რომლებიც გაიცა ექსპერტთა მხრიდან, მაშინვე იქნა გაზიარებული და კოლეჯმა დაიწყო აღნიშნულთან დაკავშირებით მუშაობა, შედგა შეხვედრები, ასევე მოხსენებითი ბარათები დირექტორის სახელზე, განხორციელდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესწორება, ფუნქციურად რაც იყო ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ განსაზღვრული, ასევე პროგრამის დაგეგმვა-განხორციელების მეთოდოლოგიაში და სხვა დოკუმენტებში, ეს ყველაფერი შეიცვალა, შესაბამისი მოვალეობები გადანაწილდა ადმინისტრაციის სხვა წევრებზე. რეკომენდაციების ტექნიკურ უზუსტობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ კოლეჯის დირექტორის წარედგინა ცვლილებების პაკეტი და შესაბამისად დამტკიცდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოს(ს/კ: 404935273) მონიტორინგის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს კოლეჯ მესამე სამედიცინოში(ს/კ: 404935273) განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი 4.1; 4.2 და 5.1 კომპონენტებში. ვიზიტის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 7 აპრილი.

2. სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების

არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ ირმა ქორთუას და სთხოვა, წარედგინა საკითხი.

ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ირმა ქორთუა - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე); მანანა კობალაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).
სსიპ კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ მიერ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2022 წლის 18 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა განაცხადი „სამკერვალო წარმოებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ. ექსპერტის თქმით, 2022 წლის 25 ნოემბერს განხორციელა ვიზიტი კოლეჯში „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“, საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შემოწმების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა გასაუბრების განრიგი, რომელიც სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შეთანხმებულ იქნა დაწესებულების ადმინისტრაციასთან. „სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე 2020-2022 წლებში მაღალი იყო დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა (2021 წელს 12 ადგილზე 172 რეგისტრირებული, 2022 წელს 16 ადგილზე 107 რეგისტრირებული). ამავდროულად, შრომის ბაზარზე მაღალია მოთხოვნა „სამკერვალო წარმოების“ პროგრამის კურსდამთავრებულებზე, ასევე, მაღალია დასაქმების და თვითდასაქმების მაჩვენებელი აღნიშნულ პროგრამაზე (საშუალოდ 85-100%). შესაბამისად კოლეჯს სურს არსებული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 32 გაზარდოს 8 პროფესიული სტუდენტით და ზღვრული რაოდენობა გახდეს 40.
ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში დაწესებულების შესაძლებლობების დადგენისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია, განახორციელა გასაუბრებები დაწესებულების დირექტორთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ბიბლიოთეკართან, სტუდენტებთან, პრაქტიკის განმახორციელებელთან, დაათვალიერა და გადაამოწმა სასწავლო გარემოები, მატერიალური აღჭურვილობა, ბიბლიოთეკა, A, B, C სასწავლო გარემო.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით, კოლეჯმა განახორციელა შემდეგი ღონისძიებები: 1. დაამატა სასწავლო რესურსები სტუდენტთა გაზრდილი ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით; 2. დამატებით აიყვანა ერთი პროფესიული მოდულის

პროფესიული განათლების მასწავლებელი და ორი ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვიზიტის დასასრულს, ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:
საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებლების და პრაქტიკის განმახორციელებლებს შორის არსებული ეფექტური თანამშრომლობა სტუდენტების შერჩევის, სწავლების და შეფასების პროცესში. განსაკუთრებით საინტერესოა კოლეჯის და შპს „მოვის“ მიერ ერთობლივად შემუშავებული სტუდენტთა შერჩევის ფორმა „შემოქმედებითი ტური“. პედაგოგები პრაქტიკის განმახორციელებლებთან ეფექტური თანამშრომლობით აქტიურად ახორციელებენ სასწავლო მეთოდოლოგიის დახვეწას და მორგებას ტექნოლოგიურ სიახლეებზე. ამ ეტაპზე პედაგოგების მხრიდან გამოვლენილია დამატებითი სასწავლო რესურსები, რომელთა შეძენასაც გეგმავენ ეტაპობრივად და რომელიც ხელს შეუწყობს შრომის ბაზარზე მიმდინარე ცვლილებების ადექვატური სწავლების უზრუნველყოფას.
ექსპერტის განცხადებით, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების, პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემის, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
ექსპერტის განმარტებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. გასაუბრებით და სათანადო დოკუმენტაციების შემოწმებით განისაზღვრა, რომ სამკერვალო წარმოების პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. ბიბლიოთეკის დათვალიერებით, ბიბლიოთეკართან და სტუდენტებთან გასაუბრებით, პროგრამის დანართებში მითითებული ლიტერატურის შედარებით ბიბლიოთეკის ფონდში არსებულ ელექტრონული მასალებთან განისაზღვრა, რომ სამკერვალო წარმოების საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული სახით, ასევე ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო გარემოს დათვალიერებით, გასაუბრებით და სათანადო დოკუმენტაციის შემოწმებით განისაზღვრა, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა კითხვები. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

მომხრე: 8
წინააღმდეგი 0
გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში

ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიულ მომზადების ცენტრს“ (ს/კ: 200279448) დანართით განსაზღვრულ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 40-ით **(დანართი 1).**

საბჭოს წევრმა მარიამ ქუჩულორიამ დატოვა საბჭოს სხდომა.

3. შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

4. შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საბჭოს თავმჯდომარე ნანა ყუფუნია მიესალმა ექსპერტ მანანა მოისწრაფიშვილს და სთხოვა, წარედგინა საკითხი.
ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ იყო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ორივე წარმოების შემთხვევაში და ერთად წარმოადგენდა საკითხებს.
ექსპერტმა საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. მან აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების თანახმად შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს დაევალა შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ვებტექნოლოგიები“ და „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადებისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის - პროგრამების სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება.
ექსპერტების ჯგუფმა შეისწავლა შპს „ინტერბიზნესის აკადემიის“ მიერ განაცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და განხორციელდა ვიზიტი შპს „ინტერბიზნესის აკადემიაში“ წინასწარ შეთანხმებული ვიზიტის დღის წესრიგის შესაბამისად, ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, მათ შორის დირექტორს, ხარისხის მართვის სამსახურის

უფროსს, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტებმა ასევე ვიზუალურად შეამოწმეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური რესურსი და ბიბლიოთეკაში სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობა. ვიზიტის დასასრულს ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამეს ვიზიტი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 24-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 24 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 32 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.
ასევე, ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 40-ით. მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 38 პროფესიული სტუდენტი. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადის თანახმად და დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საფუძველს წარმოადგენს გაზრდილი მოთხოვნა და პროგრამაზე დარეგისტრირებული მსურველების დიდი რაოდენობა. აღნიშნული მოთხოვნის საპასუხოდ, დაწესებულებას გააჩნია შესაბამის ადამიანური და მატერიალური რესურსი, რომელიც გამოანგარიშებულია კოლეჯში დამტკიცებული ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით და იძლევა 90 პროფესიული სტუდენტის სწავლების შესაძლებლობას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დარგის ექსპერტებმა გიორგი ნაჭყეპიამ და ქეთევან ღვანიძემ აღნიშნეს, რომ წარმოების დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა. შესაბამისად, დაწესებულება მზად იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები განეხორციელებინა გაზრდილი ზღვრული რაოდენობით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს

“ინტერბიზნესის აკადემიას“ (ს/კ:201990881) დანართით განსაზღვრულ „ვებტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 32-ით **(დანართი 2).**

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს “ინტერბიზნესის აკადემიის“ „სკოლამდელი აღზრდის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

მომხრე: 7
წინააღმდეგი 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს “ინტერბიზნესის აკადემიას“(ს/კ:201990881) დანართით განსაზღვრულ „სკოლამდელი აღზრდის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 90-ით **(დანართი 3).**

ნანა ყუფუნიამ შეაჯამა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ორწლიანი მუშაობა.

საბჭოს თავმჯდომარის კომენტარი:
„მინდა მადლობა გადავუხადო დამსწრე პირებს. არ იყო მარტივი განვლილი 2 წელი, საბჭო ფუნქციონირებდა ფაქტობრივად პანდემიის და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის პირობებში, რაც ამავდროულად იყო დიდი გამოწვევა. ჩვენ, მიუხედავად გამოწვევებისა, ვფიქრობ, რომ არ ვარ სუბიექტური, წარმატებით გავართვით თავი, ამის ინდიკატორი შესაძლოა იყოს ის, რომ უარყოფითი გადაწყვეტილებებიდან ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი გასაჩივრდა, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ინდიკატორი, თუმცა ჩვენ არასოდეს შეგვიწყვეტია საკუთარ ხარვეზებზე ფიქრი, როგორ უნდა გაგვეუმჯობესებინა საქმიანობა და როგორ უნდა მიგვეწოდებინა მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია და უკუკავშირი კოლეჯებისთვის, ისეთი, რომელიც იქნებოდა განვითარებაზე ორიენტირებული და ეს არ იქნებოდა საბჭოს, როგორც მაკონტროლებლის ან გადაწყვეტილების მიმღების ჩასაფრებული პოზიცია და ვფიქრობ, რომ ყველამ ერთად ეს ჩვენ შევძელით.
ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ხარისხის ცენტრს, ქ-ნ თამარ მახარაშვილს, ბ-ნ კახაბერ ერაძეს, ასევე, ქ-ნ ნანი დალაქიშვილს, რომელსაც 2004 წლიდან ვიცნობ და ჩემთვის არის ჩემი უფროსი ძვირფასი კოლეგა და მაგალითი, როგორი უნდა იყოს სახელმწიფო სტრუქტურაში დასაქმებული ადამიანი და მენეჯერი, ჩემი უდიდესი პატივისცემა მას და მის მთელ გუნდს.
ასევე დიდი მადლობა ექსპერტებს, მადლობა იმ შენიშვნების თუ უკუკავშირების სწორად მიღებისთვის, რომელსაც ჩვენი მხრიდან ვახორციელებდით, არ იყო მარტივი, ცხადია, არცერთი მხარისთვის, იმიტომ რომ დისტანციურ რეჟიმში ახალი სტანდარტების დანერგვა ცოტა სხვა გამოწვევებთან იყო დაკავშირებული და საბჭო ხედავს თვალსაჩინოდ ექსპერტთა

ზრდას და ამაში დიდი წვლილი არის ხარისხის ცენტრის და ძალიან დასაფასებელია, ამას როგორც საბჭოს თავმჯდომარე ისე არ ვამბობ, ვამბობ, როგორც უბრალოდ პროფესიული განათლების გულშემატკივარი.
ასევე, ძალიან დიდი მადლობა კოლეჯებს თითოეული იმ გადადგმული ნაბიჯისთვის, იმ გამოწვევების გადასალახად, რაც მათ გააკეთეს, რასაც ერქვა ახალი სტანდარტების დანერგვა პანდემიის პარალელურად. არ დამავიწყდება არასდროს, რა მეთოდოლოგიას, რა ინოვაციებს არ მიმართეს იმისათვის, რომ პროფესიულ კოლეჯებს არ შეეწყვიტათ ფუნქციონირება.
მიუხედავად იმისა, რომ არ ვწყვეტ პროფესიულ განათლებასთან კავშირს, ამ ეტაპის დასასრული არის ძალიან სასიხარულო, იმიტომ, რომ ბევრ შეზღუდვასთან იყო ჩემთვის ეს დაკავშირებული, თუნდაც იმ კუთხით, რომ ხშირად არ ვაძლევდი საკუთარ თავს უფლებას პირადი სიმპათიები გამომეხატა თითოეული თქვენგანის მიმართ, მიუხედავად ყველაფრისა, ხშირად მიფიქრია, ასეთი ადამიანები რომ გავიცანი სისტემაში, ღირდა ყველა იმ სირთულედ და გამოწვევად. დასასრულს მინდა ჩემი ძვირფასი გუნდი, საბჭოს თითოეული წევრი აღვნიშნო, როგორც განსაკუთრებული, მეომარი ამ მთელ პროცესში, დასაყრდენი და კოლეგა, რომლებთანაც, მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი და ღირსეული გზა გავიარეთ. თითოეულ თქვენგანს დიდი მადლობა და პატივისცემა.
საბჭოს წარმატება, თუ კი წარმატებაზე ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვან წილად განაპირობა კომფორტულმა მხარდაჭერამ, როგორც ტექნიკურმა ისე ორგანიზაციულმა, უნდა აღინიშნოს ცენტრის თანამშრომელი ქ-ნ მაყვალა დარსანია, რომელიც სასწაულებრივად ახერხებდა ჩვენს მხარდაჭერას.
და ბოლოს, მე მჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი მხოლოდ განათლებაშია, განათლება უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტი, ამიტომ ყველა ჯარისკაცს, რომლებიც აქ ხართ წარმოდგენილი, რომლებიც არ არიან, მაგრამ ჩვენთან ერთად ამ ფერხულში არიან, რასაც ჰქვია განათლების და განსაკუთრებით პროფესიული განათლების გულშემატკივრები, ძალიან დიდი მადლობა”.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ, 17:15 საათზე ავტორიზაციის საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი; ილია ვეკუას ქ. N44
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	ვებტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	32
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	სკოლამდელი აღზრდა
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი შალვა ჯაფარიძის ქ. #7
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146